№ 77
სამშაბათი, 9 აპრილი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მ. კ.	თვე	მ. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 77
სამშაბათი, 9 აპრილი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდ
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხაზედ—5 კაპ.

,,ივერიის'' ტელეფონი № 227.

I აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ღირს **რვა მანეთად** (8 მ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (ნიკოლოოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანნიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ზუგდიდში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

საყურადღებო განცხადება

თუმცა პასკებს (ბაბკებს) ბევრი აცხობს, მაგრამ ჯერ ბევრს-კი არა აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელობა პასკების კარგათ გამოცხობისა, რის გამო მსყიდველი ხშირათ სტყუვდება. ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ

არ. ივ. ალიხანოვის
საკანდიტეროში
ვორონცოვის ძეგლთან
სააღდგომოდ მზადდება დიდ-ძალი პასკები და „კულიჩები“

ღირსება ჩემს სახელოსნოში მომზადებულ პასკებისა, რომელიც საუკეთესო მასალიდგან კეთდება ხოლმე, ყოველთვის საუცხოვო გემოშია, რაშიაც პატივ-ცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება. **Дрожевой заводъ К. ШУРЪ.**

2—327—1

პატივის-ცემით არ. ივ. ალიხანოვი.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. **ჯიჯინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.
ე. ვ. **ფედოროვი**—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.
გ. გ. **მაღალაშვილი**—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.
ნ. ტ. **მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
ვ. ღ. **ღამბაშიძე**—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
ძ. მ. **ელიოზიშვილი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
ღ. ა. **გედევანიშვილი**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.
ა. გ. **ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
სტ. ა. **ვოინო**—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
გ. მ. **ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
ა. გ. **მაღალაშვილი**—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
გ. ს. **დავიდოვი**—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. **მაღალაშვილი**—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. **ნავასარდიანი**. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. **ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. **ბაბანასიანცი**. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ს. ტ. **არვანიტაკი**. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნვით.
ქ. ი. **გძელიშვილი**. 12—1 საათ. ყელისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. **კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. **გძელიშვილი**. 5—6 ს. ყურისა, თვალისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. ნ. **შპაკოვსკი**. 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. **თარხანოვი**. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

როგორ უნდა მოეწყოს უკეთესად სასოფლო სკოლა?

(დასასრული *)

რაიცა შეეხება სახელმწიფო ენის სწავლებას, ეს საგანი ასე უნდა იქმნას მოწყობილი: ლექსიკური კურსი რუსულის ენისა იწყება პირველი წლის მეორე ნახევრიდგან, მას შემდეგ, რაც ბავშვებმა საკმაოდ გაივარჯიშეს დედა-ენაში და გაათავეს სწავლა დედა-ენაზე წერა-კითხვისა; რუსულ წერა-კითხვას იწყებენ შეგირდები მეორე სასწავლო წლის დამდეგს. მეთოდი რუსულის სწავლებისა უნდა აშორებული იყოს ვიწროსა და ცალ-ბილიკა გზასა. იგი მეთოდი განხორციელება უნდა იყოს, როგორც ბუნებრივ, ისე თარგმნის მეთოდის ღირსებისა და თავიდგან აშორებული ჰქონდეს მათი ნაკლულევანება. თვალსაჩინოდ და სიტყვიერად სწავლება, მხარ დაჭერილი დედა-ენის სისტემატიურის დახმარებით—აი, საფუძველი, რომელზედაც უნდა იყოს დამყარებული სახელმძღვანელო რუსულის ენისა არა რუსთა სკოლებისათვის. დედა-ენის დახმარება არ უნდა იყოს შეზღუდული მასწავლებლის მიერ სიტყვიერ შემწეობით. საჭიროა მასწავლებელს ჰშველოდეს სახელმძღვანელო, რომლის ტექსტშიც უნდა იყოს ჩართული ახსნა რუსულის ტერმინებისა დედა-ენაზედ. *) ორ-ნაირად არის ეს გარემოება მეტად საყურადღებო. ამისთანა სახელმძღვანელოს შემწეობით ბავშვებს შეძლება ეძლევათ გაიმეორონ რუსულის ენის გაკვეთილები სხვა დროსაც, ხოლო ეს დიდად სასარგებლოა მეტადრე მაშინ, როცა პირველ-დასაწყისის სკოლის კურსი მეტად ხან-მოკლეა. ამის გარდა, ასეთის წიგნისავე შემწეობით უფრო მტკიცედ იხსომებენ ბავშვები მასწავლებლისაგან სიტყვიერად მოსმენილს. ასე მტკიცედ დახსომებას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ გაგონილს კვლავ ითვისებს გონება მოწაფეთა წაკითხვით, ესე იგი ყურთა-სმენას ეხმარება თვალთა-ხედვა და რუსულის გაკვეთილებს სწავლობენ ორ ორგანოს, ორ გრძნობის შეერთებულის მოქმედებით. ამიტომ ცნობიერება ერთი-ორად მატულობს და ძლიერდება, რადგან ყველამ იცის, რომ რაც უფრო მეტი რიცხვი გრძნობათა იღებს მონაწილეობას ამა თუ იმ შთაბეჭდილების შეთვისებისათვის, მით იგი შეთვისება უფრო ცხადია, სრული და მტკიცეა.

თუ ასეთის გონივრულის გზით ვასწავლით შეგირდებს პირველ სამის წლის განმავლობაში რუსულს ენას, შესაძლოა იმდენად მოვამზადოთ, რომ სრულიად ცნობიერად და აზრიანად ისწავლონ ბავშვებმა მეოთხე წელიწადს ყველა საგანი რუსულად, გარდა ქართულისა, რომელიც, რასაკვირველია, ქართულადვე უნდა ისწავლებოდეს. სამს წელს სწავლება სახელმწიფო ენისა, რომლისათვისაც საკმაო რიცხვი უნდა იყოს დაწესებული გაკვეთილებისა, და გამეორება ყველა საგნისა ამ ენაზედ მოკლედ და არსებითად მეოთხე და უკანასკნელს წელს, როცა ბავშვების მიერ შეთვისების უნარი ერთი სამად მატულობს, იმიტომ რომ პირველ წლებში ბავშვებს სრულიად ცნობიერად შეუთვისებიათ სხვა-და-სხვა ცოდნა დედა-ენის შემწეობით, სრულიად უზრუნველ-ჰყოფს რუსულის ენის წარმატებას. მართალია, ეს წარმატება რუსულის შეთვისებისა დიდი არ იქნება, მაგრამ სამაგიეროდ გზა გაეკვლევა სკოლის ყოვლად საკეთილო გავლენას, ერის გონებრივსა, ზნეობრივსა და სარწმუნოებრივს განვითარებას. ორ-კლასიან სკოლებში ხომ, რომელშიაც ექვსის წლის კურსია და საცა სწავლება საგნებისა რუსულს ენაზედ გასტანს მთელს უკანასკნელს სამს წელიწადს, შესაძლოა ბევრად უფრო სრულს წარმატებას მიაღწიოს სახელმწიფო ენის შესწავლის საქმემ. ეს ორ-კლასიანი სკოლები ყველა იმ სოფელში უნდა დაიმართოს, საცა შესაძლოა ეძლიოს შრომისათვის სასყიდელი ორს მასწავლებელს, ხოლო ერთ-კლასიანი სკოლები უნდა იმართებოდეს მხოლოდ პატარა და ღარიბ სოფლებში. მაგრამ ერთ-კლასიანისაცა და ორ-კლასიანის სკოლის წარმატებისათვისაც ერთი რამ არის საჭირო. თუ საერო სკოლების დირექტორებისთვის არა, ინსპექტორებისთვის მაინც სავალდებულო უნდა იყოს ცოდნა მოსწავლეთა და ხალხის დედა-ენისა. უამისოდ შეუძლებელია ან შემოწმება სწავლების ცნობიერობისა, ან კეთილი გავლენა ხალხზედა; მით უმეტეს შეუძლებელია გულითადი ურთიერთობა შეგირდებისა და მათის დედ-მამის მიმართ, ხოლო უამისოდ ცოცხალი საქმე გადაიქცევა უგულო მანქანებად, რომელსაც ბოლოსა და ბოლოს მხოლოდ მწარე ნაყოფი მოსდევს.

დასასრულ, მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ, ყველა განათლებულის კავკასიელის ერთობილის აზრით, კავკასიის მკვიდრთა შორის ზნეობის დაცემა, რასაც ცხადად ამტკიცებს გაძლიერება ყაჩაღობისა, მეტადრე თათართა შორის, ნაყოფია უმთავრესად ზოგან უსკოლობისა და ზოგან კიდევ არა-გონივრულად მათის მოწყობისა. ამიტომ ამ დიდის ბოროტების აღმოსაფხვრელად, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველად დღეს აუცილებელია შენახვა რიცხვ-მრავალ საერო დარაჯთა რაზმისა და ხარჯვა მისთვის ყოველ-წლობით რამდენისამე მილიონის მანეთისა, ყველაზედ ნამდვილი და უებარი ღონისძიებაა მრავლად დაარსება და გონივრულად მოწყობა, პედაგოგიის მოთხოვნილებისამებრ, პირველ-დასაწყისის სკოლებისა კავკასიის მკვიდრთა შორის. ამისთანა სკოლებში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს შეგირდების ჭკუა-გონების განვითარებას, ისეთის ცოდნის შეძენას მათ მიერ, რომელიც ცხოვრებაში გამოადგებათ და მათს ისე აღზრდას, როგორც მოითხოვს საქრისტიანო ზნეობა.

მრავალ-საუკუნოვანი პედაგოგიური გამოცდილება და სიბრძნე კაცობრიობის ყველა ბრწყინვალე გონების პატრონისა აღთქმად იმას გვიდებს, რომ სკოლა უპირველეს ყოვლისა პედაგოგიურად უნდა იყოს მოწყობილი და მერე სხვა ყოველივე თავისს თავად მოვაო.

იაკობ გოგებაშვილი.

---

*) იხ. „ივერია“ №№ 70, 71, 72, 73 და 76.

*) თარგმანი რუსულის ტერმინებისა უნდა მოთავსებული იყოს პირველ წიგნში თვით რუსულ სიტყვებქვეშ, ხოლო მეორე წიგნში—ბოლოს, ლექსიკონის სახით. -ცალკე ლექსიკონები, რამდენსამე ენაზედ შედგენილი და დამატებად ჩართული ვოლპერისა, გრიგორიევისა და სხვათა სახელმძღვანელოებში, მეტად მოუხერხებელია პატარა ყმაწვილებისათვის სწავლების პირველს ხანს.

ახალი ამბავი

◆ გუშინ-წინ, 7 აპრილს, თავად-აზნაურთა საზოგადო საგანგებო კრებას თავმჯდომარემ მოახსენა თავად-აზნაურთა წინამძღოლის მელიქიშვილის წინადადება: გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელიც დანიშნულია 1903 წლის მარტის რიცხვებში, გადმოტანილ იქმნეს მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებშიო, რადგანაც თავად-აზნაურები ამ დროს უფრო ჩამოდიან ქალაქებში სხვა-და-სხვა საქმეებისა გამო და უფრო მეტი რიცხვი დაესწრება კრებასაო.

მცირე კამათის შემდეგ კრებამ მიიღო ეს წინადადება.

თავმჯდომარემ ამის შემდეგ წაიკითხა მოხსენება, იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თვალ-ყური ედევნებინა ჟურნალ-გაზეთებისთვის, თუ რა აზრები გამოითქმოდა უმაღლესად ნაბოძებ 40,000 მანეთის მოხმარების შესახებ და წარედგინა თავისი აზრი. კომისიას საჭიროდ დაუნახავს სტიპენდიების დაარსება უნივერსიტეტებში, საშუალო და დაბალ სასწავლებლებში. კრებამ შეიწყნარა ეს მოხსენებაც.

◆ ს. ი. ვაწაძის თავმჯდომარეობით კვირას, 7 აპრილს, სამეურნეო ბანკის შენობაში, ნაშუადღევის პირველ საათზე შესდგა კრება სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის წევრებისა.

კრებას მოხსენდა პირველიდ ამხანაგობის 1901 წლის მოქმედების ანგარიში.

საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას შეუძენია წამლები და სხვა სააფთიაქო საქონელი სულ 65,850 მანეთისა 91 კაპიკისა. ამ წელს ამხანაგობას 25,648 მან. 38 კაპეიკ. ღირებული საქონელი გაუყიდნია 33,398 მან. 61 კაპეიკად, ამ რიგად მოუგია 7,750 მანეთი 23 კაპეიკი გაუყიდველი საქონელი დარჩენია ამხანაგობას 40,202 მანეთის 53 კაპეიკისა. ძირითადი თანხა ამხანაგობისა უდრის 10,750 მანეთსა. ამხანაგობის წევრებზე საწევრო შემოუტანელი ფული 1,170 მანეთი 61 კაპეიკია. კრებამ დაამტკიცა ანგარიში. ამის შემდეგ აღიძრა კითხვა ამხანაგობის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლაზე. წესდების ერთი მუხლის ძალით, მაგალითად, ამხანაგობამ უნდა მიიღოს განსაზღვრული რიცხვი წევრებისა. ეს, როგორც წევრები ამტკიცებდნენ, ცუდად მოქმედებს საქმის წინ-სვლაზე. წევრები რომ ბევრი მივიღოთ, მაშინ უფრო მეტი ფული შემოვა და საქმე უკეთესად წავაო. კრებამ ერთხმივ დაადგინა წესდების შეცვლა, დამატება და ამხანაგობის ზოგიერთა საქმეები მიენდოს სათათბირო ორგანოსაო. წევრებად ამორჩეულ იქმნენ ს. ი. ვაწაძე, ს. ი. ვახვახიშვილი, გ. ნ. დიასამიძე, სოფიო დიასამიძე, ღ. ა. გედევანოვი, ჯმუხაძე, დეკანოზიშვილი, შნეიდერი, ს. ი. ფორაქოვი და ვ. ყიფიანი.

◆ კვირას, 7 აპრილს, შესდგა ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა კრება.

კრებას მოხსენდა ამხანაგობის 1901 წლის მოქმედების ანგარიში, რომლიდგანაც სჩანს, რომ ამხანაგობას ამ წელს ზარალი ჰქონია 55 მ. 98 კაპ., შემოსავალი ყოფილა 7,588 მ. 16 კაპ., გასავალი-კი 7,644 მან. 14 კ. კრებამ დაამტკიცა ანგარიში. წაგების მიზეზად ბევრი რამე დაასახელეს, მაგალითებრ, გამგეობის წევრების მალ-მალ გამოცვლა, რომელნიც მოკლე ხანში მარტო საქმის გაცნობას ძლივს ასწრობდნენ. საქმის კარგა წასაყვანად კრებამ ერთხმივ დაადგინა: 1) მაღაზია გაიხნას ქალაქის თვალსაჩინო ალაგას, 2) ყოველს საქონელს შედარებით ახლანდელ ფასებთან ძალიან დაეკლოს ფასი, რომ მუშტარი უფრო მეტი მოაწყდეს და 3) ყოველი საქმე ამხანაგობამ ალალად და თავის დროზე გააკეთოს და ჩააბაროს პატრონს. ამ სამი მუხლის საქმით განხორციელება დაავალა გამგეობის მომავალ წევრებს.

გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: ქურდიანი, ბერძნიშვილი და გიგაური, მათ კანდიდატებად ნაბიჭვრიშვილი, მაჭავარიანი და დვალიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ფურცელაძე, ტარიელოვი და ციბაძე. კრება 5½ საათზე დაიხურა.

◆ კვირას, 7 აპრილს, ფ. ი. პოლლაკის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ტფილისის „ნოქრების“ საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წევრებისა.

თავმჯდომარის წინადადებისამებრ კრებამ ერთხმივ დაადგინა: დაარსოს წევრებისთვის ბიბლიოთეკა. დაარსების ნების აღებას ეხლავ უნდა შეუდგეს საზოგადოება, ისე რომ მაისისთვის ბიბლიოთეკა უკვე მოქმედებდეს. ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად საზოგადოებამ გადასდო 240 მანეთი.

საზოგადოების 1901 წლ. ანგარიშიდგან სჩანს, რომ საზოგადოებას ნამდვილი წევრები ჰყოლია 167; საპატიო—1, თანამგრძნობნი 29. ნამდვილ წევრებისაგან წლის განმავლობაში შემოსულა საზოგადოებაში 2,233 მ. 50 კაპ., თანამგრძნობ წევრებისაგან 461 მ., სულ 2,669 მანეთი 50 კაპ. საზოგადოების თანხიდგან ხაზინადრის ხელშია 339 მ. 97 კაპ., სახელმწიფო ბანკში 100 მ., შემნახველ კასსაში 1700 მანეთი, სულ ამ ჟამად საზოგადოებას აქვს 2,139 მ. 97 კ. წლის განმავლობაში დახარჯულა: საკანცელარიო ხარჯები 244 მ. 87 კაპ., ბინა ½ წელს—200 მ., ქონებაზე—122 მ. 10 კ., მსახურთა ჯამაგირი 87 მ. 60 კაპ., სულ 654 მ. 57 კაპ.

1902 წელს ვარაუდით გასავალი იქნება 2,200 მანეთი. კრება ამით გათავდა.

◆ აღდგომის დღესასწაულებში, 15—23 აპრილამდე, ბაქოს ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფენი დირექტორსა და მასწავლებლებს მიჰყავთ ქუთაისის, ჭიათურის, ბათომის, ტყიბულისა და ბორჯომის დასათვალიერებლად. თითოეულს მოწაფეზე ხარჯი 15 მან. გამოანგარიშებული.

◆ რედაქციამ მიიღო № 4 ჟურნალის ,,მოგზაურისა“ შემდეგის შინაარსით: I. პირველ-ყოფილი ადამიანის გონებრივი მდგომარეობა, ბ. კ—ისა; II. მთიულთ ცხოვრებიდგან, ე. გუგუშვილისა; III. კლარჯეთის აღწერა, ზ. ჭ—სა; IV. ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობა, ალ. ტატუნაშვილისა; V. საქართველოს საეკლესიო ისტორია, ილ. ფერაძისა.

◆ მივიღეთ „მოგზაურის“ რედაქტორის ი. პ. როსტომაშვილის გამოცემა ,,გამოსადეგნი ცნობანი'', წიგნი მეოთხე, რომელშიაც შემდეგი წერილებია მოთავსებული პედაგოგიიდგან: 1. ახალი წესი წერა-კითხვის სწავლებისა ოჯახებსა და სკოლებში. 2 ადვილად შესწავლა გამრავლების ტაბულისა. 3. რეფორმატორნი სწავლა-აღზრდისა, ა. ტატუნაშვილისა. მეურნეობა-მრეწველობიდგან: 4. რამდენ ნაირად შეიძლება გამოვიყენოთ რძე ჩვენს ოჯახებში, ა. დარეჯანაშვილისა. 5. გაზაფხულის ყინვები, გ. ლეხურელისა. ჰიგიენა-მკურნალობა: 6. საშინაო სამკურნალო გიმნასტიკა.

◆ სტავროპოლის გუბერნიაში აპრილის ოთხს, ხუთს და ექვსს ისეთი სიცივეები ყოფილა, რომ ნათესები და ვაზები სულ ერთიანად დაუზრავს, მოსავალს დიდი განსაცდელი მოელის. გუშინ, რვა აპრილს, სტავროპოლის გუბერნიის ალექსანდრის საზოგ. მამასახლისი დეპეშით სთხოვს კავკასიის

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ დეპეშითვე აცნობოს მას, შეიძლება თუ არა ეხლა ხელ-მეორედ დათესვა ჰირნახულისა?

◆ ს. იგუეთში (გორის მაზრა) ამ ჟამად სახადი მძვინვარებს და სისწრაფით ედება მცხოვრებლებს. საჭიროა დროზე თავდარიგი იქმნას დაჭერილი, ვისგანაც ჯერ არს.

◆ ს. ოძისი (დუშეთის მაზრა): ოძისსა და ახმაჯას შუაში ჩაუდის მდ. ქსანი. ამ მდინარეზე ხიდი დიდ საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ამ მდინარეში გაუსვლელად ამ ორ სოფელს ერთმანეთში არ შეუძლიანთ სიარული. უხიდობისა გამო ხშირად იღრჩობიან წყალში გასვლის დროს. ამ დღეებში ცხენით გადიოდა წყალში ს. ზერტის (გორის მაზრა) მცხოვრები აზნაური გიგო ქარსიძე. მდინარემ ცუდ ალაგას ჩაიტანა ტალღებით მხედარი და გამოასალმა წუთი-სოფელს.

◆ **ბარის ოსეთი**; აქეთ მარტმა მშვენიერის ამინდებით გასვლო; ხალხი სიმინდის და კარტოფილის თესვას შეუდგა, მაგრამ, სახნავი, სასიმინდე მიწა ძრიელ გაძვირდა, ასე რომ ზოგან სასიმინდე სახნავი მიწის იჯარის ფასი წელიწადში დესეტინა ოც მანეთამდე ავიდა. ოსების უმთავრესს ცხოვრების წყაროს სიმინდის თესვა შეადგენს, ხოლო ასე ძვირად ნაქირავებ მიწით, რადა უნდა ისარგებლონ საბრალოთ! ხეხილი აჰყვავდა, ბაღახი მშვენიერი გაიზარდა. გვეგონა გაზაფხულდა, მაგრამ მოვტყუვდით. ორს ამ აპრილს ღამე მოვიდა წვიმა, წვიმას თან მოჰყვა თოვლი და ბევრი გაფოთლილ-დაყვავილებული ხეხილი დაამტვრია მძიმე თოვლმა. თუ ახლა ყინვები დაიჭირა, თქვენი მტერია, ხეხილებს სულ დაჰზრამს. სიმინდის ფასმა შესამჩნევად დაიწია, სხვა-კი ყველაფრის სიძვირეა ამ ჟამად აქ.

◆ ამ ჟამად მომავალ დღესასწაულებისათვის ტფილისის ბაზრებში დიდ-ძალი სანოვაგე შემოაქვთ სოფლელებს. ეხლავ ეტყობა, რომ ქალაქში უფრო იაფად იქნება ყოველგვარი სანოვაგე, ვიდრე ისეთს ალაგებში, როგორც ქუთაისი და სამტრედიაა. ასი კვერცხი მაგალითად, ტფილისში ამ ჟამად იყიდება მანეთად და ექვს შაურად.

◆ რადგანაც მომავალ დღესასწაულების გამო სოფლებიდგან და სხვა ალაგებიდგან დიდ-ძალი ხალხი და სანოვაგე მოაწყდა ქალაქის ბაზრებს, სავაჭრო პოლიციამ და საექიმო-სასანიტარო ინსპექციამაც უმატეს ზედამხედველობას, რომ უვარგისი სანოვაგე, ყალბი სასწორი და სხვა არ გააჭაჭანონ ბაზრებში.

◆ ქალაქის გამგეობის მეოთხე წევრის არჩევანის საქმე, ამბობენ გუბერნატორს ჰსურს გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს გადასცეს განსახილველადაო.

◆ „ტფილისის ლისტოკ“-ში (№ 83) ვკითხულობთ: „6 აპრილის სხდომაზე ქალაქის გამგეობამ და საფინანსო კომისიამ შეერთებულს სხდომაზე განაგრძო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის განხილვა. ამ ხანათ იხილავდნენ წყლის მილის ხარჯთ-აღრიცხვას. ამ საგანზე ხარჯი ერთობ შეამოკლეს. სხვათა შორის, საჭიროდ აღარ დაინახეს 600 მანეთის გადადება მილის წყლის ანალიზისათვის, რადგანაც ისედაც ყველამ იცის, რომ მილის წყალი ტალახით შეგანგლულიაო“ (…и безъ того всѣмъ извѣстно, что вода въ городскомъ водопроводѣ загрязнена!..) ამ „შესანიშნავს“ ბრძნულს დადგენილებას ჩვენის „ქალაქის მამებისას“ განმარტება არ ეჭირვება, ხოლო მკითხველს გავახსენებთ, რომ ტფილისის საბჭოს კალმიანი კლაკერები ხშირად ყურს გვიჭედავენ იმის ძახილითა და წერით, რომ ტფილისის საბჭო უფრო „ინტელიგენტურია“, ვიდრე სხვა რომელიმე საბჭო რუსეთშიო.

იმერეთის ამბები.

◆ რუსეთის ზოგიერთს დიდ-კაცებს სახალხო განათლების მინისტრის მეთაურობით, როგორც „ჩერნ.ვესტნ.“ გადმოგვცემს, ჰმართავენ თურმე სოხუმის ოლქში, შავის ზღვის პირად, დ. სოჭს ახლო კლიმატიურს სადგურს საზაფხულოდ საცხოვრებლად. წრეულსვე აპირებენ ააშენონ რვა აგარაკი. მათს შორის სახალხო განათლების და სამხედრო მინისტრებისა, გრაფის ოსტენ-საკენისათვის და სხვ. აგარაკებს აშენებენ აკადემიკოსის კოჩეტოვის გეგმით.

◆ ვარშავის მებაღეს ეზერსკის ორი დესეტინა მიწა აუღია იჯარით სოხუმის ოლქში და ზედ ვარდების მოშენებას აპირებს.

◆ ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაცია კავკასიის მთავრობას სთხოვს ფულს, რომ გამოიკვლიოს სამი ხიდის აგების საქმე ქუთაისის გუბერნიაში. ერთი ხიდი უნდათ გასდონ მდ. ჯუმაზე, რომელიც სენაკ-ზუგდიდის შოსეს გადასჭრის, მეორე და მესამე რიონზე დ. ონთან და სოფ. ბუღეულთან. ამ სამსავე ალაგას ხიდები არის ახლაც, მაგრამ ისე დაძველებულა, რომ საშიში გამხდარან გასავლელად.

◆ ცეცხლისაგან დამზღვევ ქუთაისის საურთიერთო საზოგადოების მოღვაწეობას 1901 წელს, შედარებით წინა წლებთან, როგორც სჩანს წლიურის ანგარიშიდგან ხსენებულის საზოგადოებისა, კარგი წარმატება ჰქონია.

1901 წლის 1 ანვარს დაზღვეული ყოფილა 1.916,330 მანეთის ქონება საზოგადოების 377 წევრისა.

საანგარიშო წელს დაზღვეულა საზოგადოებაში 32 ქონება 152,100 მანეთისა, დამატებითი დაზღვევა ყოფილა 18, სულ 82,900 მანეთისა. მოაკლდა დაზღვეული ქონება 71,350 მანეთისა. ამ გვარად 1902 წელს 1 იანვარს დაზღვეული ყოფილა 2.079,980 მანეთის ქონება 389 წევრისა.

დასაზღვევი პრემია შემოსულა 7,770 მან. და 65 კაპ.

საზოგადოების თანხის პროცენტი 827 მ. 40 კ. შემოსულა.

1901 წელს დახარჯულა საზოგადოების მმართველობაზე 2,559 მ. 98 კაპ., ცეცხლის მხრივ ზარალის აღსადგენად პირველად 1,260 მ. 60 კ., 1,951 მან. მეორედ. ცეცხლის ჩამქრობ რაზმისთვის საზოგადოებას მიუცია 200 მ. წმინდა შემოსავალი 1901 წ. 2,677 მ. 70 კ. ჰქონია. სათადარიგო თანხა საზოგადოებას საანგარიშო წლის 1-ლ იანვარს ჰქონია 16.839 მ. 62 კაპ., ამ ფულის სარგებლიანად 1902 წლის 1 იანვარს სათადარიგო თანხა საზოგადოებას ჰქონია 19,517 მ. 32 კაპ., პროცენტიანი ქაღალდები საზოგადოებას დაარსებიდგან შეუძენია 18,294 მანეთისა და 39 კაპიკისა. ამ ქაღალდებიდგან ზოგი ქუთაისის ხაზინაში ინახება, ზოგი-კი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში.

საანგარიშო წელს, თანახმად 1900 წლის კრების დადგენილებისა, საზოგადოება დაუკავშირდა საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებათა კავშირსა, სამის წლის ვადით 1902 წლის 1 იანვრიდგან 1904 წლის 31 დეკემბრამდე პეტერბურგში მომხდარ რწმუნებულთა კრებისაგან შემუშავებულ პირობებით.

გარდა ამისა, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკი დათანხმებულა მიიღოს საზოგადოების პოლისები ყველა ახალ და ზოგ ძველათ დაგირავებულ ქუთათურ შენობებზედაც, რაც დიდად წასწევს წინ საზოგადოების საქმეს.

წერილი ქვედა აჭარიდგან.

აჭარულ მამასახლისებსაც დაურიგდათ, სხვათა შორის, ახალი დავთრები; ერთში ჩაიწერება წელიწადი, თვე და რიცხვი დაბადებისა ორისავე სქესისათვის; მეორეში შეუღლება და ქორწინების ნებართვა ნაწილის უფროსისაგან. დღემდე ეს საქმე ძრიელ არეული იყო და ამას მოსდევდა აჭარული სისხლის გადავალება. გასათხოვარ ქალს ამოუჩნდებოდნენ მთხოვნელები; ერთი მათგანი იშოვიდა ხოჯას, თუნდაც შავბნელი მეზავრი ყოფილიყო, გზაში დაწერილ ნიქახით ქალს იტაცებდა და სამართლით მეტიც არაფერი ჰქონდა. ახალის კანონით დღეს აკრძალულია ნება-დაურთველად შეუღლება.

თანხმობით ჰნიშნავენ ცოლის მომყვანელი და ქალის გამთხოვებელი თავდებებს. თავდებები ძველადაც იყო და ახლაც არის. თავდებად ირჩევენ თითოს ან ორ-ორ კაცს, რომლებიც დაიწყებენ ვაჭრობასა ათას მანათობით და ბოლოს-კი გაათავებენ ას-მანათობით. შემდეგ ამისა მიდიან ხოჯასთან და აწერინებენ თავდებთა სახელსა და გვარს. შემდეგ ამისა იწერება პირობა: თუ ამა და ამ კაცმა მიატოვა ქალი, ამდენი და ამდენი ჯარიმა უნდა გადაიხადოს ქალის სასარგებლოდაო. პირობა, ანუ ნიქახი მიაქვთ გასათხოვარის დედ-მამასთან და დედ-მამა-კი გასათხოვარს ქალს გადასცემს. ამას შემდეგ ქალს დიდი გული აქვს და ინიშნება კიდეც დღე გათხოვებისა.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ქმარი მიატოვებს ცოლს და სცდილობს, ისეთი რამ მიზეზი მოიძოს, რომ ჯარიმა არ გადუხადოს ცოლს, რასაც დიდი უსიამოვნება მოსდევს ხოლმე, უკეთუ მოკვდა კაცი, ამ ნიქახით ქალი ქმრის ოჯახში გამაგრებულია და ნებაც აქვს, სხვა კაცი მიიყვანოს ქმრად. ეს გარემოება შეიქმნა მიზეზად, რომ ძმა ცდილობს შეირთოს ძმის ნაყოლი ქალი; თუ ძმა არ დარჩენია, ბიძაშვილი ცდილობს, მისი რომელიმე ნათესავთაგანი, რათა მამული სხვა კაცის ხელში არ გადავიდეს. თუნდაც ცოლი ჰყავდეს ამ ნათესავს, მაინც მეორე ცოლად ისვამს ქვრივს. თვით ქალები სცდილობენ სხვა გვარს კაცს მისთხოვდნენ. თუ ქალს უწინდელ ქმრიდგან გოგო ჰყავს შვილად, ქალი სცდილობს ისეთი კაცი მონახოს ქმრად, რომელსაც ვაჟი ჰყავდეს შვილად და გერი გერს შერთონ. ხოლო თუ ქალს დარჩა ვაჟი, კაცი სცდილობს ქვრივის შერთვას იმავე მამულის გულისათვის და მოუღლის ვაჟს შინ ახვედრებს პატარა სარძლოს. თუნდაც ერთი ამათგანი აკვნის ბავშვი იყოს და მეორე-კი ბევრად უფროსი, ეს გარემოება მაინც არ აბრკოლებთ, ჰნიშნავენ ერთმანეთზედ და ბოლოს ქორწინებაც უნდა მოხდეს მათ შორის. ამ ნაირ დანიშვნას ეძახიან დაწინდვას.

დაწინდვა საზოგადოდ ჩვეულებად არის აქ. წინდაწინვე დაუწინდებელი ქალი აქ ძვირად გათხოვდება. ახალმა წეს-რიგმა ამ დაწინდულებას ყურადღება არ მიაქცია. დაწინდული გასათხოვრები ხშირად დამწინდავებს არ მიჰყვებიან და ამის გამო დაუსრულებელი მტრობა ჩნდება ხალხში. ვაჟებისათვის დიდი სირცხვილია, როდესაც მის დაწინდულს სხვა ემუშტრება. ფულსაც არ ჰზოგავს, ოღონდ არ შერცხვეს და სხვის გულისად არ გაჰხდეს. ამ დროს ჩნდებიან შუაკაცები. რომელნიც სიამოვნებით კისრულობენ საქმის გარიგებას და კარგის სასყიდლის აღებას, მაგრამ იშვიათია უსისხლოდ გათავდეს საქმე აქ. ამიტომ აჭარლის სამართალი თოფის კონდახზეა დამოკიდებული. სანამდის ამ ქვეყანაში ნიქახისა და დაწინდვის ხსენება იქნება, მანამდე აჭარლებმა უნდა ზიდონ ათი ოკა რკინა თოფის სახით, ყამა და რევოლვერი, ან ფაშტო უნდა წმინდოს მუდამ და მთელი თავისი სიცოცხლე ფრთხილად იყოს, ფრთხილად უნდა იყოს, იმიტომ რომ მტერმა არ მოჰკლას და ცოლი ცოლად არ წაართვას და მამული მამულად. ან კიდევ მტერმა ქვრივი რძალი არ წაართვას და მამული არ ჩამოუჭრას. ბევრი კოკა წყალი ჩაივლის, ვიდრე აჭარის ხალხი მიხვდება რასმე განათლებისას, დაანებებს თავს ზოგიერთს ძველს მავნებელს ჩვეულებას და საერთო ძალ-ღონით ეცდება უკეთესი და უფრო ადამიანური ურთიერთობა დაამყაროს თავის ქვეყანაში. უპირველესი ღონე ყოველ ამისათვის, რასაკვირველია, ცოდნაა, სწავლა-განათლებაა, მაგრამ სად არის აქ სკოლები, რომ ხალხმა წერა-კითხვა მაინც ისწავლოს.

ს. გ.

დაბა და სოფელი

მთიულეთი. გაზაფხული მშვენიერი დაგვიდგა, ბუნებამ ისე ადრე გაიღვიძა მთაში, რომ გლეხებმა მარტის დამდეგს გუთნებს ხელი მოჰკიდეს და დიდინით შეუდგნენ ხვნა-თესვას, თუმცა წინა წლებში აპრილის გასვლამდისაც გუთხელ-დაკრეფილნი ისხდნენ ხოლმე დიდის თოვლების გამო და ცას შესცქეროდნენ. ამ ბეჩავმა მთიულეთმა ლამის ბარის ხალხს გადააჭარბოს მეტის შრომითა და ყოველისავე ღონისძიების მიღებით მოსავლის გაუმჯობესებისათვის. რადგანაც მთიულეთში მოსავალმა იცის და დვარძლი (გიჟი ჰური) მეტად ერევა, ამისათვის აქ ხორბლის გასარჩევი მაშინები გაიჩინეს და დიდის ხალისით არჩევენ სათესლე ჰურსა. იმედია, რომ ეს მეცადინეობა უნაყოფოდ არ ჩაუვლით ამ საწყლებს.

არაგვი მეტის სითბოებისა გამო ადიდდა და დიდი უბედურებაც დაატრიალა: ამ ოთხის დღის წინად დაახრჩო სოფ. არახვეთში მცხოვრებელი გლეხი სტეფანე ბურდული, რომელსაც დარჩა ცოლი და ოთხი სული წვრილ-შვილი.

ფასანაურის სკოლას ეტყობა გაუმჯობესება: ბავშვებმა ეკკლესიაშიც-კი დაიწყეს მშვენიერი კითხვა. სკოლის მასწავლებელმა მიაქცია ყურადღება აგრეთვე სკოლის ქართულს ბიბლიოთეკას, რომლის შესავსებად შეაგროვა ორმოც-და-ათ მანეთამდის ფული და წიგნები.

სოფ. კაიშაურში აკურთხეს ეკკლესია, სადაც დიდი ძალი ხალხი დაესწრო. ამ ეკკლესიის აშენებისათვის დიდი შრომა გასწია ახალმა მღვდელმა მ. შიო კაიშაურმა, რომლის მოსვლამდის კაიშაურის სამრევლოში არ იყო ისეთი ეკკლესია, რომ ოცი სული დაეტივნა.

ამ ცოტა ხანში მთის მესამე საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებას ჰქონდა კრება, რომელზედაც ამორჩეულ იქმნა სამღვდელოების მოძღვრათ ლაკათხევის სამრევლოს მღვდელი მ. ალექსი გვიანიშვილი. კრებას სთხოვა ბლაღოჩინმა მღვდელმა მ. დიმიტრი მეტრეველმა, რათა მას მიექცია ყურადღება და შემწეობა აღმოეჩინა ჭართლის სამრევლოში მედავითნეთ ნამყოფის აბრამ კობაიძის ქვრივისათვის, რომელიც ამ ჟამად თავის რვა წლის ქალით იმყოფება დიდს გაჭირვებაში. სამღვდელოებამ დიდის სიამოვნებით მიიღო მ. მეტრეველის თხოვნა და დაუყოვნებლივ შემწეობა აღმოუჩინა აბრამ კობაიძის ქვრივს.

ჩირიკელი.

რუსეთი

პეტერბურგში დაარსდება მალე განსაკუთრებული საკომისიო კანტორა, რომელიც უნდა დაეხმაროს რუსეთ-სპარსეთის ვაჭრობის განვითარებას.

— გაზეთები იტყობინებიან, რომ ცნობილი მწერალი მ. გორკი, რომელიც ახლა იალტაში სცხოვრობს, მძიმე ავადმყოფი შეიქმნა ფილტვების ანთებითაო.

— ებრაელთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ოდესელ განყოფილების კრებაზე წარსულ ოქტომბერს ის აზრი იყო გამოთქმული, რომ საჭიროა ებრაელთა ახალგაზრდობის განათლების ნაციონალიზაცია და ებრაულ საგნების გამრავლება იმ სკოლებში, რომელთაც საზოგადოება სუბსიდიას აძლევს. მაშინ კრებამ ერთს წევრს მიანდო დაწვრილებითის მოხსენების დაწერა ამ საგნის შესახებ. ახლა ეს მოხსენება წაკითხულ იქნება აპრილის კრებაზედ.

უცხოეთი

გერმანია. საბაჟო კომისიაში ცხარე ბრძოლა და კამათი ჯერაც არ დამთავრებულა. აგრარიები ყველაფერზედ უზომოდ თხოულობენ ბაჟის მომატებას. ასე გასინჯეთ, მთავრობის წარმომადგენელი, მინისტრი პოსადოვსკიც-კი ოპოზიციას უწევს აგრარიებს, იმ ზომამდე გაედევიძათ მადა ამ უკანასკნელთ. ერთს სხდომაზედ აგრარიებმა ბაჟის მომატება შემოსატან ღვინოზედაც მოითხოვეს. გერმანია ღვინის მოსავლით მაგდენად განთქმული არ არის, მაგრამ, ამის-და მიუხედავად, მეღვინენი კარგ მდგომარეობაში არიან და კარგ ფულსაც იღებენ. თვით აგრარიების წინამძღოლებმა, გრაფმა კანიცმა და ბარონმა ვანგენჰეიმმა შეამოწმეს ეს სხდომაზედ. მაგრამაო, განაცხადეს მათ, გერმანელმა მამულიშვილმა მაინც გერმანული ღვინო უნდა დალიოს და არა რომელისამე სხვა ქვეყნისა, ამიტომ შემოსატან ღვინოს ბაჟი უნდა მოვუმატოთო. ბაჟის მომატება აგრარიებმა ვაშლსა და სხვა ხილზედაც ისურვეს, რისთვისაც ბებელმა საკმაოდ გაჰკიცხა და შეამკო ბ-ნი მემამულენი. „გერმანიაში, სთქვა ბებელმა, უმთავრესად ამერიკიდგან მოაქვთ ვაშლი და იმდენად იაფია ქ

ფელეტონი

ვიკენტიჩი.

(ვუძღვნი პსიხიატრ-მკურნალს მ. გედევანიშვილს)

ვლადისლავ ვიკენტიჩი აგერ ორმოცდა-ორი წლის კაცი გამხდარა და ჯერ ცოლი არა ჰყავს. არა ჰყავს და ძლიერაც სწყინს საწყალს ეს უცოლობა.

ვლადისლავ ვიკენტიჩი ვინმე დიდ იჩად არ მიიღოთ, დიდი იჩი რომ ყოფილიყო, მაშინ ეგების ცოლიც ეყოლებოდა, ან თუ არ ეყოლებოდა, უთუოდ რაიმე რწმენისა ან შეხედულობის მიზეზით. ვლადისლავ ვიკენტიჩსკი რწმენისა და შეხედულობისა არა გაეგება-რა, ცოლის შერთვა ისე, ზეპირად უნდა; უნდა კია და რად უნდა, თითონაც არ იცის, ერთ გვარ მანიითაა შეპყრობილი.

ვიკენტიჩი პოლონელია, უმიწა-წყლო კაცი, თორმეტი წლიდან თავისი დღენი სულ მოსამსახურობაში გაუტარებია და ეხლაც სტოროჟადაა ტფილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში. არის მეტის-მეტად ფაქიზი, ყაირათიანი, ღვთის მოყვარული, უფროსების მორჩილი, მაგრამ მას მორჩილება, როგორცა სჩანს, უფრო დიდი ხნის სხვის ხელში ყოფნით დასჩემებია, თორემ ხანდახან, როცა მოთმინებიდამ გამოიყვანენ, მაგალითად, მის პირადობას შეეხებიან, ერთ ისეთს შეიყვირებს, ისე მილანძღ-მოლანძღავს იქაურობას, რომ ვიკენტიჩს ვიკენტიჩად ველარა სცნობთ. ამ ხასიათებისა გარდა ვიკენტიჩს ერთი მანიაც სჭირს: ეს არის უუმაღლესი, უუმოწიწებითი და უაღტაცებულესი წარმოდგენა ქალებზე, მაგრამ, რასაკვირველია, მარტო ლამაზ ქალებზე და ისიც, თუ ფერ-მკრთალნი და გამხდარნი არ არიან.

ჯამაგირი ვიკენტიჩს თვეში თორმეტი მანეთი აქვს და ყოველივე ხარჯი მზა-მზარეული. აიღებს თუ არა ოცში ჯამაგირს, თორმეტი მანეთიდგან რვა მანეთს სახელმწიფო შემნახველ კასსას მიაბარებს, დანარჩენს ოთხ მანეთს-კი თავის სახარჯოდ იტოვებს: „ვინ იცის რა შემთხვევაა, შეიძლება ვისმე დუშკას შევხვდე. მოგეხსენებათ... ჰმმ.....ჰმმ..... ცალ თვალს აათამაშებს, ულვაშებს გადიგრეხს და მელოტს თავზე ხელს გადისვამს და ეშმაკურად გაიღიმებს.

— ქალის გაცნობის მოლოდინი რომ არა მქონდეს, ჩემი ჯამაგირიდან მარტო ერთ მანეთს დავიტოვებდი სახარჯოთ. ხომ იცით, არც ლოთი ვარ, არც კარტის მოთამაშე, ერთი და მეორე,—გვეტყვის ხოლმე ვიკენტიჩი. —მე მხოლოდ ვეძებ საცოლოს, მაგრამ რომ ვერ ველირსე! ღმერთო ჩემო, რა შეგცოდე, რომ აგრე უცოლოდ მაბერებ!?.

— „ვიკენტიჩ! რად გინდათ აგრე რიგად ცოლის შერთვა, რას მოელით ცოლისაგან სახეიროს თქვენ, ღარიბი კაცი, ორმოც წელს გადაცილებული?“ ეკითხებიან მას ხან-და-ხან ამხანაგები.

— ჰმ! თქვე სულელებო, სულელებო! ხეხე-ხე!.. რომ მეკითხებიან კიდეც? თითონ ცოლ-შვილში ცურავენ და სხვისი-კი უკვირთ.

— მე რომ ასეთი სურვილი მქონოდა, ერთხელ-კი არა, ოც-და-ხუთჯერ დავიწერდი ჯვარსმეთქი,—ვუთხარ ერთხელ მე.

— ჰმ! ჩაიცინა ვიკენტიჩმა. ჰან! ჰან! როგორ ბალღურად ლაპარაკობთ, ა! განა კიტრია, შაურად ათი იყიდო? ხე-ხე-ხე! თქვენ ხუმრობთ, ჰან, ხუმრობთ!

ეს ოცი წელიწადია სულ მაგის ფიქრში და დარდში ვარ, თუ არ შევირთე ცოლი, ეს იმიტომ, რომ ერთხელაც ვერ შევხვდი ჩემ საკადრისს. არ დამიტოვებია რაც რუსეთში კუხარკები, გორნიჩნები და პრაჩკებია, სიდელკებმა ხომ სული წაიღეს; ყველას გავცნობივარ, ყველასათვის პატივი მიცია, მაგრამ ყველაში მოვტყუვდი. ეჰ! ჰან, ჰან, თქვენ რომ იცოდეთ, რამდენი ფული გამიოხრებია მაგ სტიალო ქალებში, ვიცი შეგებრალებოდით. ეს რომ არა ყოფილიყო, ეხლა ოთხმოცი თუმნის მაგიერ სამასი თუმანი მექნებოდა ბანკში შენახული, მაგრამ ვინ ჩაივის ამას, ცოლი რომ შემერთო მაინც. ფულებიც დავკარგე, სიბერეც შემომეპარა და აღარც ცოლი და აღარც შვილი... ეჰ! შე ტუტუცო ჩემო თავო, როცა ჰხედავ, როცა დარწმუნდი, რომ ეხლანდელ დროში პატიოსანი საცოლო იშვიათია, სანთლით საძებნელი, რაღას ჩერჩეტობ, რად არ დადგები, სულელო ვიკენტიჩ, შენს ქერქში!

— თქვე დალოცვილო, თუ-კი მაგაზედაც დარწმუნდით, რატომ არ დაემორჩილებით თქვენს ბედს?

— ჰმმ... ჰმმ... ჩაიბუზღუნა ვიკენტიჩმა.— დიახ, დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ დროა სულისათვის ვიზრუნო, მაგრამ ვაი, რომ არ შემიძლიან განვშორდე მაგ ფიქრს. გარდავსწყვეტ თუ არა ცოლს არ შევირთავ-მეთქი, სწორედ იმ დროს ვიღაც ჩამჩურჩულებს: „არ შეშინდე, არ შედრკე, ვიკენტიჩ, შენი ვარსკვლავი ჯერ არ ჩამქრალაო, არ გაბედო უცოლოდ დარჩენა, ეგ დიდი ცოდვააო, შენს ფულებს ვის დაუტოვებო“. სიზმარში-კი მუდამ მთავარ ანგელოზი და ღვთის მშობელი მეჩვენებიან ჯვრით ხელში. იაკობ და რებეკა ხომ მოსვენებას არ მაძლევენ. ალბათ ღვთის განგებაა და მეც მონა მისი ვემორჩილები მის განგებას,—დაილოცა მისი სამართალი!

— აქ ამ შვიდის წლის განმავლობაში რას აკეთებდით? მიაველ-მოაველეთ თვალი, ქალაქი დიდია, ქალებით სავსეა. არა, არა, ვიკენტიჩ, თქვენ არ იცით ქალების ძებნა, თორემ ქალს როგორ ვერ გამოირჩევდით?

— ჰან! ჰან! რად ამბობთ უსამართლობას, ა? განა, ცოტა ვეძებე ამ თბილისშიაც? მაგრამ აქაც ვერაფერი შვილები ყოფილან. სადაა, რომ მე ქალი არ მიძებნია? ყველგან, ყველგან, ჩემო ბატონო. ზეცას ვერ ავფრინდები, თორემ იქაც ვიღონებდი რასმე. ერთი ხუთი თუმანი მაქვს ამ სამ წელიწადში დახარჯული აქაურ ქალებზე. ამ ორის წლის წინედ ერთმა ჩემმა ნაცნობმა გოროდოვოიმ ერთი ლამაზი რუსის ნინუშკა გამაცნო. ოოჰ, ჰან! ლამაზი იყო, ლამაზი, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერ ნახავდა! იქნებოდა ასე 18—19 წლისა, მაღალი და ტანადი, ტანადი რომ ნამდვილი ალვის ხე იყო; ქერა თმა ჰქონდა, ვაშლივით აწითლებული მსუქანი და ბამბასავით რბილი ლოყები ა-და-და-და! ჰმმმ.... ერთი მისი კოცნა მილიონად ღირდა, მგონია; თვალები ნაზი, ეშხით სავსე. ოჰ, ოჰ! ვნახე თუ არა, გულმა ფართხალი დამიწყო. ამ ორმოცი წლის კაცს სული ჩამედგა და უეცრივ გარდავსწყვიტე, ამას-კი ჩემის ცოცხალი თავით არავის დავანებებ-მეთქი. გავიცან, იმ დღ ბევრი ვაცინე, ვეოხუნჯე და ბოლოს ვთხოვე სალამოთი მუშტაიდში გავისეირნოთ მეთქი.

— „დღეს დრო არა მაქვს და ხვალ-კი დიდის სიამოვნებითაო“, მითხრა. მეტი რა გზ იყო, უნდა მომეთმინა. მეორე დღეს-კი გა მოვეცხადე დანიშნულ დროს გამოწკეპილ ჩემის ახალის ვიზიტკით, ჭრელის გაზაფხუ ლის პერანგით, ინგლისურის შლიაპით დ თხუთმეტ მანეთიან ამერიკულ საათით, ტრო ტით. დიახ, მიველ და ისიც, მზად გამოწყო ბილი დამხვდა. ნამდვილი პრინცესსა ეგო ვიფიქრე ჩემს გუნებაში: ბევრი იცადე, ვი კენტიჩ, მაგრამ ეხლა-კი ჩაიტკბარუნებ ცხოვ რებას, ეხლა-კი შედიხარ სამოთხეში-მეთქი და უცბად გაბედნიერებულმა, კმაყოფილმ დავიძახე: „ფაიტონ!“ და წავიხინდით მუშ ტაიდისკენ. მივედით მუშტაიდში, ჯერ „კრუგ ში“ ვისეირნეთ, მერე ხეივნებში და ბოლო მტკვრის პირად ჩავასეირნე და იქ-კი გულ საბუდედგან ჩემდა დაუკითხავად ამომივარდ მთლად ავკანკალდი, მუხლებმა მიღალატ და იქვე ჩავიჩოქე მის წინ და შევფიცე, შე ღავლე მორჩილება, უზომო სიყვარული. ქ ლი შეკრთა, შველივით დაიწყო აქეთ-იქით ყურება, ალეწდა, თავი დაბლა დახარა მე გულმა აღარ მომითმინა, ვეცი ხელებზ და კინაღამ მოვაჰამე.

— მოითმინეთ, რა გაჩქარებთ? კარგი, თ ნახმა ვარ ცოლად წამოგყვეთ“. მითხრა თ არა ეს, მივვარდი და ლოყაზე მაგრად ვაკ ცე, მაგრამ ძლიერ გამიჯავრდა.

— წრეს ნუ გადადიხართ, სანამ ჯვარს

ხილი, რომ იგე სახალხო საკვებად გადაიქცა. მერიკა თუ მეტოქეობასა სწევს, ამაში თვით გერმანელი მებაღენი არიან დამნაშავენი: საქმე რომ კარგად და ცოდნით წაიყვანონ და ამხანაგობები დააარსონ, ამერიკა იმდენად შორსაა ჩვენგან, რომ მეტოქობას ვერ გაუწევს მათ. მებაღეებს საქმე ვერ მიჰყავთ რიგიანად და ბაჟის მომატებას ამიტომ თხოულობენო“. კონსერვატორმა კარდოფმა იუკადრისა ბებელის სიტყვები და განაცხადა, საკვირველია, რომ სოციალ-დემოკრატთა წინამძღოლი ხან ერთს ამბობს, ხან მეორეს! წინად ბებელი დიდი წინააღმდეგი იყო ამხანაგობებისა და საზოგადოებებისა, ეხლა-კი მებაღეებსაც ურჩევს გაამხანაგებასაო. შეიძლება ოდესმე ბებელი მართლაც წინააღმდეგი ყოფილიყო ამხანაგობებისა, მაგრამ დღეს რომ საუკეთესო მომხმარებელი და მწარმოებელი საზოგადოებანი სოციალ-დემოკრატთა ხელშია, ეს ყველასათვის აშკარაა გერმანიაში. ბრესლავსა, ჰამბურგსა და ლეიპციგში მათ სამაგალითო ამხანაგობანი და საზოგადოებანი დააარსეს. ამას წინად ბრესლავის მომხმარებელმა საზოგადოებამ თავისი ანგარიში გამოაქვეყნა. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, საზოგადოებას 70 ათასი წევრი ჰყოლია მუშათა შორის. წლის განმავლობაში ამხანაგობას $13^1/_2$ მილიონ მარკის ვაჭრობა ჰქონია; დარჩენია წმინდა მოგება $1^1/_2$ მილიონი. ამას გარდა საზოგადოებას სათადარიგო თანხაში ჰქონია 550 ათასი და საპენსიო კასსაში მოსამსახურეთათვის—200 ათასი. ამხანაგობაში მსახურობს 80 კანტორის გამგე, 12 უფროსი ნოქარი, 209 გამყიდველი, 80 მცხობელი, 60 მეეტლე და დამტარებელი და სხვა. აშკარაა ამის შემდეგ, რომ სოციალ-დემოკრატნი წინააღმდეგნი ჲრ არიან მწარმოებელ და მომხმარებელ საზოგადოება-ამხანაგობებისა.

საფრანგეთი. ბრისსონმა ამას წინად გამოსცა მოწოდება, რომელშიაც ურჩია თავისს ამომრჩევლებს კლერიკალ-ნაციონალისტთა წინააღმდეგ ბრძოლა. ბრისსონი სწერს: „ლეგიტიმისტთა, ორლეანისტთა და ბულანჟისტთა მემკვიდრეებმა, ნაციონალისტებმა და ჰერცოგ ბროლიისა და გრაფ დე-მენის მიერ დაარსებულმა „საფრანგეთის ლიგამ“ განიზრახეს, სასულიერო კონგრეგაციების შთაგონებით, იერიში მიიტანონ რესპუბლიკაზედ. ეს ვაჟბატონები რესპუბლიკანურ ნიღაბს იფარებენ, მაგრამ თქვენ ნუ გაებმებით იმათ მახეში. უარ-ჰყავით იეზუიტთა კანდიდატები. ამით უზრუნველ-ჰყოფთ საფრანგეთისათვის წეს-რიგსა და მშვიდობიანობას, რაიცა საჭიროა რესპუბლიკის ნაყოფიერ მოქმედებისათვის. გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“!..

არჩევნების გამოვე სიტყვა წარმოსთქვა მინისტრმა მილიერანმა. დარბაზს, სადაც მან სიტყვა წარმოსთქვა, დიდძალი ხალხი მიაწყდა. 500 კაცი უადგილობისა გამო გარეთ დარჩა. საოცრის ოვაციებით მიეგება საზოგადოება სოციალისტ მინისტრს. ორმა-სამმა მოწინააღმდეგემ დაიძახა მხოლოდ: „შორს ჩვენგან მილიერანი! გალიფესთან წავიდესო“! მილიერანის შემდეგ სიტყვა უნდა წარმოეთქვა იმის მოწინააღმდეგეს, უკიდურეს სოციალისტს კოშენს, მაგრამ საზოგადოებამ ისეთი ხმაურობა ასტეხა, რომ არაფერი ისმოდა. დასასრულ კრებამ 1,500 ხმის უმრავლესობით 200 ხმის წინააღმდეგ თანაგრძნობა გამოუცხადა მილიერანს.

სამხრეთ-აფრიკის ომი. როგორც „ნოვ. ვრემიას“ დეპეშით ატყობინებენ, მინისტრთა საბჭოს ლონდონში თითქმის ყოველ-დღე თათბირი აქვს თურმე ზავის შესახებ. ხმა დადის, რომ სამხრეთ-აფრიკის კომისარი მილნერი უეჭველ დამორჩილებასა სცნობს საჭიროდ, იმის აზრით არც ამნისტიაა საჭირო. სულ სხვა აზრისაა კიტჩენერი: ბურებს თავისუფლება უნდა მიენიჭოთო, ამბობს თურმე იგი. მინისტრთა უმრავლესობა კიტჩენერის აზრისაა, ხოლო ჩემბერლენი მილნერის აზრისა.

— როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, კრიუგერსა და ევროპაში მყოფ ბურთა დელეგატებს შეუმუშავებიათ ზავის პირობანი და გაუგზავნიათ იგი სამხრეთ-აფრიკაში ბურთა წინამძღოლებისათვის. აი ეს პირობანი: 1) ბურთა რესპუბლიკების სრული დამოუკიდებლობა; 2) გაუქმება კიტჩენერის პროკლამაციისა ბურგერთა ქონების კონფისკაციის შესახებ; 3) ინგლისმა უნდა აღუდგინოს ბურებს დაქცეული ფერმები და უკიდოს საქონელი იმის ნაცვლად, რაც ინგლისის ჯარმა წაასხა; 4) ინგლისმა უნდა მიიღოს ბურების ვალი, როგორც ომამდე, ისე ომის შემდეგ აღებული; 5) ენების საქმე ურთ-ერთ შორის მორიგებით უნდა გადასწყდეს; 6) ამნისტია კაპის მეამბოხეთათვის და განთავისუფლება დაპატიმრებულ ბურებისა; 7) ვადის დანიშვნა, თუ როდის უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში ტყვე-ბურები; 8) ამორჩევა ერთის ან ორის ნეიტრალურ სახელმწიფოსი ზავის პირობათა განსახორციელებლად, როდესაც ეს პირობანი მიღებული იქმნება.

ავსტრ-უნგრეთი. 29 მარტის სხდომაზედ რეიხსტაგმა განიხილა მოხსენება სახალხო სკოლების შესახებ. სოციალისტმა ზეიტცმა ამ მოხსენების გამო თითქმის ოთხი საათი ილაპარაკა. დეპუტატმა გაჰკიცხა აწ არსებული სისტემა სახალხო განათლებისა და აღნიშნა სასურველი ცვლილებანი. ამ სიტყვის გამო რამდენიმე შეტაკება მოუხდათ სოციალისტებსა და ანტისემიტებს.

ოსმალეთი. სერბიული გაზეთი „Дневникъ“-ი სწერს, რომ ოსმალეთში წეს-რიგი და მშვიდობიანობა იმ დრომდე არ დამყარდება, ვიდრე კონსტანტინეპოლში არ იგრძნობენ რეფორმათა საჭიროებასაო. „ისე დღე არ გაივლის,—ამბობს გაზეთი,—რომ დეპეშამ რომელიმე კუთხიდგან არეულობისა და უწესოების ამბავი არ მოიტანოს. ამ ბოლოს დროს არეულობანი გახშირდნენ. ამბობენ, გაზვიადებულია საქმის ვითარებაო, მგრამ ვარწმუნებთ ყველას, რომ გაზვიადებული არაფერია. ოსმალეთი იწვევს სათადარიგო ჯარს, თავს უყრის ჯარს ბოლგარიისა და სერბიის საზღვარზედ, ხოლო ალბანელნი, თავით-ფეხამდე შეიარაღებულნი, მზად არიან ქრისტიანეთა ამოსაჟლეტად ძველ სერბიასა და მაკედონიაში. და თუ ევროპა არ ეცდება ოსმალეთის შთაგონებას, მშვიდობიანობა მართლაც დაირღვევა. ამისი მიზეზი „მაკედონიის არეულობანი“-კი არ იქმნება, არამედ ოსმალეთის მძლავრობა და ძალ-მომრეობაო“. ასე სწერენ სერბიისა და ბოლგარიის სხვა გაზეთებიც.

იაპონია. მალე საპარლამენტო არჩევანები იაპონიაშიაც მოხდება. მარკიზ იტტოს უკვე გამოუცია მანიფესტი თავის ამომრჩეველთა საყურადღებოდ. იტტო სწერს, რომ ამ ბოლოს დროს საერთაშორისო მეტოქეობის მეიდნად დიდი ოკეანე გადაიქცა, სადაც იაპონიამ, გეოგრაფიულ მდებარეობის წყალობით, დიდი როლი უნდა იკისროს. იაპონიის სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღება ეხლა იმაზედ უნდა იყოს მიქცეული, რომ დაიცვან იაპონიის სახელი და ის მდგომარეობა, რომელიც მას ბედმა არგუნა. ამას გარდა ჩვენმა დასმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ეკონომიურ განვითარებას, ეცადოს ქვეყნის ქონებრივ წარმატებას და სწავლა-განათლების გავრცელებას, რადგანაც უამისოდ იაპონია ვერასოდეს ვერ გაუთანასწორდება ევროპასაო.

სასოფლო მეურნეობა.

წიწილების აღზრდა.

ახალი გამოჩეკილი წიწილა სველი და ერთობ ნაზია, ძლივს ინძრევა, სიცივისა ეშინიან და ინსტინქტიურად თბილს ადგილს ეძებს დედის გულ-მკერდში. პირველი წიწილის წივილი კრუხ-დედის გულში იწვევს არა ჩვეულებრივს და ჩვენთვის ძნელ წარმოსადგენ შვილების სიყვარულს და მათთვის ზრუნვას. თუ წიწილების გამოჩეკამდე ქათამი დილაობით დროებით ჰშორდებოდა ბუდეს შიმშილისა და წყურვილის მოსაკლავად, ეხლა კრუხ-დედას ავიწყდება თავისი თავი და სტკბება შვილების ალერსით.

ამ ალერსსა და მუდამ ბუდეში კრუხის ნძრევას უნდა თვალ-ყურს ადევნებდეს ფრინველთა მომვლელ-მომშენებელი, რომ კრუხმა წიწილები არ გაჰქულიტოს ფეხებით ან თავის ტანით, რაიცა მეტადრე საშიშია მაშინ, როდესაც კრუხ ქვეშ წიწილებიც არის და კვერცხებიც და როცა წიწილები ახალი გამოჩეკილია. წიწილა რომ კარგად გაშრება და გამაგრდება,—ბუდეში ფეხს აიდგამს და დაიწყებს სიარულს, 7—8 საათის შემდეგ საჭმელსაც სჭამს, თუ აჭამეს. ჩვენში წიწილებს ერთ ან ორ დღესაც არ აჭმევენ, ჰგონიათ, აწყენსო, ერთობ ნაზია და ვერ მოინელებსო, მაგრამ ეს შეცდომაა. კვერცხის გული, რომლითაც წიწილა საზრდოობდა კვერცხში და რომელიც კიდევ არის წიწილაში გამოჩეკის შემდეგ, მალე გამოილევა მუცელში და მის მაგიერს მაშინვე თხოულობს ნაზი და მოზარდი სხეული, რაიცა გამოიხატება იმით, რომ წიწილა ჰკენკავს ყოველისფერს, რასაც მისწვდება.

ჩვენში წიწილას პირველადვე ღომსა და ფეტვს აჭმევენ ხოლმე, ვისაც ჰსურს წიწილების მალე აღზრდა, მათი დაქათმება, მეტადრე ვისაც უცხო ჯიშის ქათმების გამრავლება უნდა, ვისაც ჰსურს იყოლიოს მართლაც საუკეთესო სახორცე, კვერცხის მდებელი და საზოგადოდ სასარგებლო ქათმები, იმან სამუდამოდ უნდა გადააგდოს პირველად წიწილების რჩენა ღომით, ფეტვით და საზოგადოდ მაგარ საჭმლით. საქმე ის არის, რომ სანამ ღომის ან ფეტვის საკვები ნივთიერება სხეულში სისხლად იქცევა და დაიწყებს სხეულის კვებას, მარცვლები ჯერ ჩინჩახვში უნდა ძალიან დარბილდეს, მერე გადავიდეს კუჭში, წელებში და სანამ ეს ქვასავით მაგარი მარცვალი გათხელდებოდეს, სხეული მისს ნივთიერებას გამოიყენებდეს, ბევრი დრო გაივლის და ამასთან მოუნდება ბევრი მარცვლის დამშლელი წვენი, რომელსაც იძლევა ჩინჩახვი, კუჭი და წელები და, განა, შეუძლიან წიწილის მეტის-მეტად ნაზსა და პატარა ორგანოებს ამდენი წვენის მიცემა და ისიც სწრაფად? სანამ წიწილა ასეთს საზრდოს შეითვისებს, ამ დროს მშიერი რჩება; ამიტომაც მაგარის საზრდოთი გამოკვებილი წიწილა ნელა იზრდება, სუსტიც გამოდის, როგორც ბავშვი, რომელსაც საკმაოდ რძეს არ აძლევენ. ესეც რომ არ იყოს, მაგარი საჭმლის ჭმევა ეწინააღმდეგება თვით წიწილის ბუნებითს მოთხოვნილებას, რადგანაც წიწილა არის მწერთა მჭამელი ფრთოსანი.

ამიტომაც პირველი საკვები წიწილებისა არის თბილი საჭმელი: კარგად მოხარშულ და ცოტად მოხელილი ღომის ან ფეტვის მარცვალი. ვისაც შეუძლიან, ძალიან სასარგებლო იქმნება წიწილებისთვის მოხარშულ და დაკეპილ კვერცხების ჭმევა პირველ კვირას.

სანამ ყველა წიწილები გამოიჩეკებოდეს, ბუდეში უნდა ჩაუდგათ წმინდა რამ დაბალგვერდებიანი ჭურჭელი და ზედ დაუყაროთ წიწილებს საჭმელი. თუ პირველ დღეს გამოიჩეკა ნახევარზე მეტი წიწილები, დანარჩენი კვერცხები უნდა ამოუდვათ იმ კრუხებს, რომელთა კვერცხებიდგან დღეს ან ხვალ წიწილები გამოიჩეკებიან. ან-და, თუ არის, შეიძლება რამდენსამე კრუხს მოაშოროთ წიწილები და ამაოუსვათ ორ-სამ კრუხს და ამათი კვერცხები დაურიგოთ დანარჩენ კრუხებს. ამ წიწილების და კვერცხების განაწილებით კრუხებს შუა შეიძლება ზოგიერთი კრუხი ცარიელი დარჩეს; ამისთანა კრუხი უნდა დაამწყვდიოთ სადმე, სადაც წიწილების წივილი არ ისმის; ერთ კვირაში კრუხობას მოიშლის და, როცა მოღონიერდება, კვერცხების დებას დაიწყებს.

პირველად ბუდიდგან ამოყვანილი წიწილები არ უნდა დასვათ პირ-და-პირ ცარიელ ცივ მიწაზედ, რადგანაც მიწის სიცივე ნაზ წიწილებს ფეხებს და მუცელს გაუცივებს, დაუხუთავს ფეხებს და აუტეხს ფაღარათს. ყველაზედ უკეთესია, გქონდესთ დიდი რამ ყუთი და მის ძირში, ფიცარზედ გაუშვათ, ან და წინადვე მიწაზედ უნდა დაუყაროთ ბზე, ან წვრილად დაჭრილი თივა, ან სხვა ბალახი და იმაზე გაუშვათ წიწილები, ხოლო საჭმელი უნდა დაუდგათ რამე ჭურჭლით.

რაც უნდა კარგი დღე იყოს, იწილები მაინც არ უნდა გაუშვათ მინდვრათ ორ-სამ დღეს, რადგანაც პირველ კვირას წიწილები ჯერ კიდევ სუსტებია და საზრდოს ძებნა არ შეუძლიანთ. იმავე სისუსტის გამო წიწილებს საჭმელი დღეში ოთხ-ხუთჯერ მაინც უნდა აჭამოთ. ყოველ გამოძღომის შემდეგ ჭურჭელი საჭმლით უნდა მოაშოროთ და შეინახოთ.

თუ კარგი, თბილი ამინდია,—მეხუთე ან მეექვსე დღეს შეიძლება წიწილები მოლზედ გაუშვათ, მაგრამ დედას მაინც სრულად არ უნდა მიანდოთ, რადგანაც შეიძლება კრუხი შორს წავიდეს, ან სადმე თხრილში, წყალში ან ბუჩქში მოინდომოს წიწილების წაყვანა. წიწილებს იმდენი სიარული არ შეუძლიანთ, რამდენიც დედალს და ამიტომ მალე დაიღლებიან, ერთმანერთს ჩამორჩებიან და ამით გაილახებიან. ამ შემთხვევაში უკეთესი იქნება, თუ კრუხს მოგრძო, წვრილ ბაწრით რამეს მიაბამთ, ან-და მისთანა გალიაში ჩასვამთ, საიდგანაც წიწილებს შეეძლოს გასვლა-გამოსვლა და კრუხს-კი არა. ამ შემთხვევაში წიწილები შორს არ წავლენ და არც სირბილს მოაკლდებიან. პირველ კვირიდგან დაწყებული წიწილებს საძებრად არ უნდა ჰქონდეთ სილა ან წვრილი ხრეში, რომელსაც ისინი სიამოვნებით ყლაპავენ, როგორც მათთვის საჭირო ნივთიერებას.

თუ პირველ კვირას არ გაუშვით წიწილები მოლზედ, გამოჩეკის შემდეგ მეოთხე-მეხუთე დღეს რბილ საჭმელთან უნდა დაუყაროთ წვრილად დაჭრილი ნორჩი კონდარი, წიწმატი, სალათი, ხახვის ფურცელი და რაც იქნება იმ ბალახეულობიდგან, რომელსაც საზოგადოდ ქათამი სჭამს. აგრეთვე კვირაში ორ-სამჯერ რბილ საჭმელს უნდა შეურიოთ და აჭამოთ წიწილებს ნაჭუჭის ფხვნილი. ამისთვის შენახული ნაჭუჭები უნდა დანაყოთ და გაურიოთ დაახლოვებით ერთი სტოლის კოვზი ფხვნილი 5—10 კოვზს ცომს (ერთი წილი 5—10 წილს), რაიცა წიწილებს ძვლებს უმაგრებს და ბუნდლით მალე უმოსავს ტანს.

მეორე კვირას, როცა წიწილები გამაგრდებიან, როცა თამამად სირბილს დაიწყებენ, შეიძლება მათი გაშვება დედასთან მინდვრად, ეზოში, სადაც ისინი დაუღალავად დარბიან და პოულობენ სხვა-და-სხვა ბალახს, იჭერენ პეპლებს, ხოჭოებს, ჭიებს, მატლებს. მთელ საათობით ჰქექენ ნაგავს და ნაპოვნ ჭიას ესევიან და ართმევენ ერთმანერთს. ამას იქით გათამამებულს წიწილებს უფრო-და-უფრო ნაკლები მოვლა და ზრუნვა უნდებათ; შესჩვევენ დილას თავიანთ ულუფას და თითქმის საღამომდე არიან სირბილში და ლაღობენ. მიუხედავად ამისა, პირველ თვის დამლევამდე წიწილებს მაინც არ უნდა დააკლდეს რბილი საჭმელი, რადგანაც უმეტესად რბილ საჭმლით საზრდოობენ სიარულში.

პირველის თვის შემდეგ რბილ საჭმელს უნდა შეურიოთ მარცვლები, რომლითაც საზოგადოდ ქათმები ადგილობრივ საზრდოობენ, მაგ. სიმინდი, ქერი, ფეტვი, შვრია; თუ მარცვლები ხვილია—დაღერღვა უნდა. პირველად მაგარი საჭმელი არ უნდა აღემატებოდეს დაახლოვებით მთელ ულუფის ერთ მესამედს, მეორე თვის დამლევამდე მაგარ საჭმელს უმატებენ და თან-და-თან უკლებენ რბილ საჭმელს.

მეორე თვის შემდეგ წიწილებს უნდა აჭამოთ ჩვეულებრივი საჭმელი, როგორც ქათმებს, ხოლო კვირაში ორ-სამჯერ და ორ-სამ დღეს აძლევენ რბილ საჭმელთან მაგარს. სამის თვის წიწილებს-კი აძლევენ მარცვლებს.

ნ. მკურნალი.

დავიწერთ, ნებას არ მოგცემთო! მე ჩოქვით ბოდიში მოვიხადე, მაგრამ გულში-კი ვნეტარებდი,—დიახ, ვნეტარებდი,—იმ იმედით, რომ ჩემი სულიკო, ჩემი მომავალი ცოლი ასეთი მორცხვი, ასეთი თავ-დაჭერილი და პატიოსნების დამცველი იყო.

ამის შემდეგ ისევ „კრუგში“ ამოვედით, მერე ბუფეტში ცივ-ცივი სასმელებით გაუმასპინძლდი და ათ საათზე, თუ თერთმეტზე ისევ ფაიტონით ბინაზედ მივიყვანე: იქ-კი არა, სადაც მსახურებდა, არამედ სადღაც ჩუღურეთში,—„იქ გათხოვილი და მყავსო“.

მივედით დანიშნულ ადგილას, შევედით ოთახში, შიგ ერთი ახალ-გაზრდა კაცი დაგვიხვდა კრაოტზე წამოკოტრიალებული. მე ჩემი სულიკოსი სიძე მეგონა.

— ეს, მიშა, ჩემი ახალი დუშკა არისო, გააცნო ჩემი თავი.—ეს, ჩემო ვლადისლავ ვიკენტიჩ, ჩემი დაძველებული და უსარგებლო დუშკა არის.

— როგორ თუ დუშკა!?—წამოვიძახე მე გაკვირვებულმა.

— დიახ დუშკა, რა გიკვირთ ა? ხა-ხა-ხა! რა გულ-უბრყვილო რამა ხართ, ხა-ხა-ხა! ხა-ხა-ხა! იცი, მიშა, რა დუშკა მყავს! განა, შენსავით უხეიროა, განა, შენსავით ლატაკია, ფულებში ცურავს გესმის ფულებში. ამის შემდეგ შენ აღარ მინდიხარ, გასწი, გაეთრიე აქედგან, მე ამასთან ვიცხოვრებ.

ესა სთქვა თუ არა, შიშმა და ზიზღმა ამიტანა და წავავლე ხელი პალტოს, ქუდსა და ჯოხს, მაგრამ მტაცა ქალმა ხელი და ყველაფერი სადღაც მიმალა. ის კაცი-კი წამოდგა და ერთი ისეთი გადმომიბღვირა, რომ კინაღამ გული გამისკდა.

— აბა თუ ბიჭია, გამაგდოს აქედგან ამ შენმა პამპულა დუშკამაო და მტაცა ხელი. მე ძლიერ შევშინდი, მაგრამ კარებს მაინც მივაგენი და რაც ძალი და ღონე მქონდა ვისკუპე და ქუჩაში გამოვასწარ... ვის ახსოვდა პალტო, შლიაპა და ჯოხი. სწორედ ღამის პირველ საათზედ მოვაღწიე ჩემს ბინას და სწორედ მაშინ მომაგონდა, რომ პალტოს ჯიბეში პორტმანი ჩამრჩენოდა და შიგ ორი თუმანი ფული.

„აი, პან, ხომ გესმით რა გაჭირვება ვნახე. იმ ღამესვე გარდავწყვიტე ცოლს არ შევირთავ-მეთქი და ერთი თვე გავიდა ქალი არ გამიხსენებია, მაგრამ კიდევ ვნახე სიზმარში ისევ მთავარანგელოზი და მასთან მრავალ-ტანჯული იობიც. „არ შეშინდე, ვიკენტიჩ, ეს იობიც ასე სცადა უფალმაო“.

მე კვლავ დავუწყე ძებნა საბედოს და წავაწყდი ერთს ლამაზს კაზაჩკას. ამას ცოტა მაღლა ეჭირა თავი, მაგრამ მეც მაგრად დავუხვდი. ვსთხოვე მასაც, ცოლად გამომყე-მეთქი და დამთანხმდა და თან დაუმატა: «იცით ჩემო კარგო, მე წამოგყვებით და იმედი მაქვს კარგად შეგვინახავ მე, დედაჩემს, ბებიაჩემს და ორ პატარა დასაო; მასთან კარგი მებელი შევიძინოთ, სამი ოთახი გვეყოფაო. კარგი გიქნია, რომ ფულები გიგროვებიაო. ერთი სიტყვით, გული გამიხეთქა და მეც იმ დღის შემდეგ იმათსას არ გამივლია. ასე-კი იყო ჩემო ბატონო და ეხლა რაღა ვუყო ჩემს თავს, არ ვიცი?“

ამას რომ მიამბობდა ვიკენტიჩი, მე სიცილს ძლივს ვიმაგრებდი, ის-კი გულზე სკდებოდა.

— პან! თქვენ დამცინით, მაგრამ თქვენ ჯიბზე ეხლა ქართველი ან სომხის ქალი უნდა შევირთო; დავრწმუნდი, რომ ჩვენ ხალხში საცოლოს ვერ შევეყრები; თქვენი ხალხი-კი თავდაჭერილია და იმედი მაქვს არც მოვსტყუვდები.

მე სიცილი შევიკავე და დავარწმუნე, რომ სრულებითაც არ დავცინოდი, არამედ მებრალებოდა, თანავუგრძნობდი. მე რაც შემეძლო ვურჩევდი თავი დაენებებინა მაგ ფიქრისათვის და სამუდამოთ გამოჰმშვიდობებოდა ცოლის შერთვის სურვილს. აშკარად ვატყობდი, ვიკენტიჩი ვერასოდეს ვერ მიაღწევდა მიზანს. მაგალითებიც ბევრი მოვუყვანე, გამიძნელდა, მაგრამ ორის კვირის ჩაგონების შემდეგ, როგორც იყო დავაჯერე და მომცა პატიოსანი სიტყვა ამ საგანზე აღარ ეფიქრნა. უნდა მოგახსენოთ, რომ მე და ვიკენტიჩი ერთს საავადმყოფოში ვმსახურებდით, მე ფერშლად, ის-კი სტოროჟათ. თავისს კეთილის ხასიათით ვიკენტიჩმა მიმიზიდა და დავმეგობრდით; ამის შემდეგ-კი უფრო მჭიდრო მეგობრობა დამყარდა ჩვენს შორის.

ამ დღეებში ვიკენტიჩმა ერთი წერილი მიიღო პოლონეთიდან. ღარიბი დისწული, რომელსაც გიმნაზია დაესრულებინა, შემწეობასა სთხოვდა. მიიღო თუ არა წერილი, იმ საათშივე ჩემთან შემოირბინა, იქვე სიტყვა-სიტყვით გადამითარგმნა წერილი პოლონურიდან რუსულად. მივულოცე ჩემს მეგობარს და ვუთხარი: აი, ვიკენტიჩ, ეხლა გეძლევა შემთხვევა ყოველს გამოუსადეგარ ფიქრსა და ოცნებას ბოლო მოუღო. აი, ეხლა შეგიძლიან საგმირო საქმე ჩაიდინო-მეთქი. აი, ეხლა შეგიძლიან შენს თავს ბედნიერება და სულის სიმშვიდე მოუპოვო. შენის ოფლით ნაამაგევს ფულს ეხლა შეუძლიან უზომო მადლის ქმნა-მეთქი.

ჩემმა სიტყვამ გასჭრა, ვიკენტიჩმა მტკიცეთ გარდასწყვიტა ფული გაეგზავნა მოსწავლე დისწულისათვის. მეორე დღეს გამოიტანა ბანკიდან თავისი ოთხმოცი თუმანი, გაუგზავნა ნათესავს და შემდეგშიაც დაჰპირდა დახმარებას.

ამ ამბის შემდეგ გავიდა ორი თვე და ეხლა ჩემი ვიკენტიჩი კიდევ აეკვიატა ვიღაც ნემკას,—კიდევ მოუარა ძველმა სენმა. ამ ქალმა ისე გადარია მანიით შეპყრობილი, სულ ვნებად გარდაქცეული საცოდავი ჩემი მეგობარი, რომ ბოლოს ჭკუაზედაც შესცდა. აი, როგორ მოხდა ეს.

ეს ათი დღეა, რაც ვიკენტიჩს ის ქალი გაუცვნია, თავისებურად ცოლად გაყოლა უთხოვნია. ქალიც დათანხმებულა, მაგრამ საქმე ისე ყოფილა დაყენებული, რომ ორმოცი თუმანი ყოფილა ფრიად საჭირო საქმის დასაგვირგვინებლად. ვიკენტიჩს სწორედ მაშინ მოჰგონებია, რომ ფულები დისწულს გაუგზავნა და ელდა ნაკრავი, თავზარ-დაცემული შემოიჭრა ამ ხუთი დღის წინედ ჩემთან. საწყალი რასა ჰგავდა, როგორ გაცრეცილიყო, თვალები როგორ ჩასცვივნოდა, კაცის ფერი არ ედო, აშკარად ეტყობოდა სახეზე აუტანელი ტანჯვა ბრაზი, შეშლილობა.—„ეხლა, ეხლა, პან, რაღას მიპირებთ? იცით თქვენ, რა ანგელოზ ქალს გადავეკიდე? იცით, რომ ეს ის ქალია, რომელიც მე გამაბედნიერებს? იცით, რომ იმის მიტოვება არ ძალ-მიძს?

— ვიკენტიჩ, ჩემო მეგობარო, რა მოგსვლია? დამშვიდდი. თუ აგრე მოგწონს, შეირთე. ვინ არის დამშლელი, ვამშვიდებდი მე.

— ააჰ! აჰა! ჰა! ხე-ხე-ხე! შეირთე, შეირთე, ვინ არის დამშლელი—პან! პან! რა უყავ ჩემი ფულები? რა უყავ? მე ეხლა ორმოცი თუმანი მჭირია, გესმით, ორმოცი-მეთქი. ჩემთვის მილიონია ის, მილიონი, ბედნიერებაა, ბედნიერება!

— ვიკენტიჩ, ვიკენტიჩ! ეგ არის შენი პირობა? ეგ არის შენი პატიოსანი სიტყვა? ფუი, შენს ნამუსს? გავუჯავრდი მე.

— ოოჰ! მაფურთხებს კიდეც, ღმერთო ჩემო! რას მერჩოდა ეს კაცი ა? სად ჩამალუპია ფულები, სად?

— შენი ფულები გამოზრდის შენს დისწულს.

— ჩემ დისწულს? ჯანაბამდის გზა გქონიათ ჩემ ოხერ დასა, დისწულსა და შენცა,—შენცა, თუ გეხალისება! თუ მე არ ვიქნები, ეშმაკებში და ქაჯებში გქონიათ ყველას ბინა!

ამ დროს მოისმა ერთი უზომო ხარხარი. იცინოდნენ ვიკენტიჩის ამხანაგი სტოროჟები, რომელთაც ყველაფერი გაეგონათ, კარებთან ყოფილიყვნენ მოჰდგარნი. ამ დაცინვას-კი ველარ გაუძლო საცოდავმა ჩემმა ავადმყოფმა მეგობარმა და სრულიად შესცდა ჭკუაზე და დამბლა დაეცა ჩემ თვალ-წინ. მე გავიქეცი და მორიგ ექიმს შევატყობინე. ვიკენტიჩი იმ საღამოსვე საგიჟეში გადაიყვანეს.

ტრიფონ რამიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაუთმოთ ადგილი თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ მცირე შენიშვნას:

4-ს მარტს დიდ-ჯიხაიშის სამკითხველოში მოხდა კრება, რომელმაც დაადგინა, რათა 10-ს მარტს ედღესასწაულათ ბ. ვასო აბაშიძის 25 წლის სცენაზედ სამსახურის შესრულება კეთილ-ნებობითი შემოწირულების დახმარებით და კიდევაც აირჩია კომიტეტი, რომელსაც უნდა ეღვაწნა მისაღწევად ამა მიზნისა.

ჩვენც შევუდექით ამ დანავალების შესრულებას და შევკრიბეთ სულ—25 მან 50 კაპ. შემდეგ შემომწირველთაგან:

1) მანუჩარ ლორთქიფანიძე—1 მან., 2) ნიკიტა ჩიჩუა—1 მან., 3) მღვ. პ. ცაგარეიშვილი—1 მან., 4) ანდრო შუბლაძე—1 მან., 5) ლევან ჭილაძე—1 მან., 6) მღ. სამსონ დევიძე—1 მან., 7) ივანე ლექავა—1 მან.. 8) დავით დევიძე—1 მან., 9) ბესარიონ ჩომახიძე—1 მან., 10) გიორგი ლორთქიფანიძე—1 მან., 11) ნესტორ ლორთქიფანიძე— 1 მან., 12) კოსტა ვაშაკიძე—1 მან., 13) მანია ლორთქიფანიძისა—1 მან., 14) დავით ლორთქიფანიძე—1 მან., 15) გიორგი ჩხეიძე—1 მან., 16) ივანე რუხაძე—1 მან., 17) ალექსანდრე ჩხეიძე—1 მან., 18) მღვ. ანდრია ლექავა—1 მან., 19) ბარნაბა გელაზანია—1 მან., 20) სოლომონ ჩხეიძე—1 მან., 21) სიმონ ნუცუბიძე—50 კაპ., 22) თეოდორე ლექავა და ანტონ ნუცუბიძე—50 კაპ., 23) ნიკო ლექავა—50 კაპ., 24) მათე ლექავა—50 კაპ., 25) მათე სალარეიშვილი—50 კაპ., 26) ლუკა ბექაია—1 მან., 27) რომანოზ ნუცუბიძე—50 კაპ., 28) მიხაილ ნუცუბიძე—50 კაპ., 29) მათე ვაშაკიძე—50 კაპ., 30) სტეფანე ვაშაკიძე—50 კაპ.

კომიტეტმა, თანახმად კრების დადგენილებისა, რომ ამ მცირე შემოწირულებით მოუხერხებელი იქნებოდა გამართულიყო სალიტერატურო საღამო და პატივცემულ მსახიობს წარგზავნოდა გარდა მისალოცი დეპეშისა რიგიანი სამახსოვრო ნივთიც, მოიყვანა სისრულეში შემდეგი:

1. შეიძინა მსახიობის სურათი—ადგილობრივ უფასო სამკითხველოსათვის 3 მან. 45 კაპ. 2. წარუგზავნა ბ. ვასო აბაშიძეს დეპეშა—4 მან. 35 კაპ. 3. შეძენილ იქმნა იმავე სამკითხველოსათვის ორი წიგნი „ცხოვრების სარკე“—1 მან. 60 კაპ. 4. გამართა სამკითხველოში უფასო სალიტერატურო საღამო, რომელსაც დაესწრო დიდ-ძალი საზოგადოება, საღამოს მოსაწყობი—65 კაპ. სულ დაიხარჯა 10 მან. 5 კაპ.

ასე რომ დარჩა ნაღდი ფული 15 მან. 45 კაპ., რომელიც გადაეცა ზემორე მოხსენებულ სამკითხველოს ბ. ვასო აბაშიძის სახელზედ და ჩაიწერა პატივცემული მსახიობი სამკითხველოს საპატიო წევრად.

10 მარტს, შემდეგ ბ. მსახიობის სადღეგრძელო პარაკლისის გადახდისა, სცენაზედ იქმნა წაკითხული ბიოგრაფია ბ. ვასო აბაშიძისა და თეატრის მნიშვნელობა ადგილობრივ მასწავლებლის ა. შუბლაძისაგან, საკუთარი ლექსები მსახიობის მიმართ ლ. ჭილაძისაგან, ბ. გელაზანიასაგან და ბ. ვაშაკიძისაგან, მნიშვნელობა სალიტერატურო საღამოისა ნ. ჩიჩუასაგან, პატარა სცენები—თ. ცქიტიშვილისაგან, ი. ლექავასაგან და ლ. ჭილაძისაგან. წაკითხული იყო აგრეთვე რამდენიმე ლექსი სხვა-და-სხვა ქართველ მწერლებისა ადგილობრივ ნორმალურ სასწავლებლის სკოლის მოწაფეთაგან. სცენაზედ გალობდა ქართულ სიმღერებს იმავე სასწავლებლის შეგირდთა გუნდი ლოტბარობით მასწავლებლის ა. შუბლაძისა.

კომიტეტი
ა. შუბლაძე.
ლ. ჭილაძე.
გ. ლორთქიფანიძე.

„ივერიის“ ფოსტა.

კ—ვს. მ. ნ. ბ—ძეს: თქვენი წერილი „ქალის გათხოვება და ქორწილის წესი სტანიცა ნიკოლაევკაში„ არ დაიბეჭდება. ჩვენის მკითხველებისათვის ძალიან მცირე ინტერესი აქვს მაგ წერილს.

ს. მ. ჯი. ვ. მალაქიაშვილს: თქვენი მოთხრობა «კოსტაია მოძირე“ არ დაიბეჭდება. არ დაიბეჭდება აგრეთვე თქვენი წერილი სოფელში რამ საზოგადო და წესებულების დაარსების გამო გაჭირეება. არც თქვენი ლექსები დაიბეჭდება.

მღვდელს იოანე ხატიაშვილს: თქვენს წერილს რედაქციის მიმართ დავბეჭდავდით, ჩვენის კორესპონდენტის ფსევდონიმი რომ არ გამოგემჟღავნებინათ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 აპრილი.

პეტერბურგი. საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი გენ.-ლეიტანტი შოლდერი 6 აპრილს გარდაიცვალა.

ლონდონი. უმცდარია ის ცნობა, ვითომც ბურთა დელეგატებმა მოლაპარაკება დაიწყეს ინგლისელების თაოსნობით. დელეგატები მოქმედებდნენ თავის სურვილისამებრ. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ გულ-წრფელი სურვილი ჰქონიათ მშვიდობიანობის ჩამოგდებისა.

კიევი. უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საერთო საცხოვრებლის აშენება საერო განათლების სამინისტრომ ნაადრევად სცნო. უნივერსიტეტმა აცნობა ამის შესახებ ქალაქის გამგეობას, რომელსაც ადგილის დათმობა უნდოდა საერთო საცხოვრებლისათვის.

პეტერბურგი. შავის ჭირის მხრივ საშიშრად არის აღიარებული პერნამბუკო ბრაზილიაში და ალექსანდრია ეგვიპტეში.—ოფიციალურ ცნობებით, ეგვიპტეში 15—21 მარტის განმავლობაში 126 ყვავილით ავადმყოფი ყოფილა.—ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ბრძანა, უმაღლესმა კარმა 24 დღე იგლოვოს ისპანიის მეფედ ნამყოფის ფრანცისკო დ'ასსიზის გარდაცვალების გამო.—6 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრმა მიიღო სამინისტროში სამინისტროს უმაღლესი მოხელენი. შეაქო-რა თავის სიტყვაში განსვენებულის მინისტრის სიპიაგინის ღირსება, პლევემ სთქვა: „მშვიდობა გვამსა იმ ადამიანისას, რომელმაც დაგვიტოვა კარგი მაგალითი მთლიანის შეხედულობისა მსოფლიოზედ მოვალეობის ერთგულობისა. მივიღე-რა მისი თანამდებობა, ვთხოვ მაღალს ღმერთს, რათა მომანიჭოს ზნეობრივი ძალა მივბაძო მისს მაგალითს. ისტორიული აზრი ჩვენის დროისა იმდენად ღრმაა, დღევანდელ საზოგადოებრივ მოვლენათა მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათ მიერ შექმნილი მდგომარეობა თხოულობს ჩვენგან საქმეს და არა სიტყვებს. მოგიწვევთ თქვენ გონიერის, სინიდისიერის და დინჯის მუშაობისათვის; ვთხოულობ პატიოსანს და კარგს თანამშრომლობას“.

ვარშავა. პეტერბურგიდგან მოვიდა ვარშავის გენერალ-გუბერნატორი ჩერტკოვი.

კონსტანტინოპოლი. პორტამ მოითხოვა ბოლგარიის ეპისკოპოსის სინეზიოსის გადაყვანა, რადგან იგი აქეზებდა მცხოვრებლებს ფირმილიანის წინააღმდეგ პროტესტისათვის.

გონკონგი. კანტონიდგან მოსულ ცნობებით მეამბოხეთ ალყა შემოურტყავთ ნანინგისათვის. ქალაქი მათ ხელშია. სადეპეშო მავთულები ნანინგის და ვუჩოუს შუა გაფუჭებულია.

ბუდაპეშტი. გარდაიცვალა ვაჭრობის მინისტრი გორანსკი.

პრეტორია. ბურთა წინამძღოლნი წავიდნენ ბრძოლის ველზე მყოფ ბურებთან მოსალაპარაკებლად.

ბერლინი. ლონდონიდგანა და ამსტერდამიდგან ერთმანეთის წინააღმდეგი ხმები ვრცელდება სამშვიდობო მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ. ლონდონში ოპტიმისტურად უყურებენ საქმეს, ჰოლანდიის ბუროფილთა შორის-კი ამბობენ, რომ მოლაპარაკება შეწყვეტილია.

7 აპრილი.

პეტერბურგი. იუსტიციის მინისტრი დაბრუნდა პეტერბურგში. ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ადიუტანტი ბობრიკოვი წავიდა ჰელსინგფორსში.

სიმბირსკი. ალატირი დღესასწაულობს იოანნე გროზნისაგან უაზანზე გალაშქრების დროს 1552 წ. ქალაქის დაარსებას. პროგრამის შესამუშავებლად არჩეულ იქმნა კომისია.

ჰააგა. კოშკილით. დედოფალმა ღამე წყნარად გაატარა. სიცხე ჩვეულებრივი ჰქონდა. თვით-გრძნობა კარგი ჰქონდა.

ბრიუსელი. მუშათა პარტიათა შეერთებულმა კრებამ გადასწყვიტა მომავალ კვირიდგან ყოველ ალაგას დაიწყო მუშაობა.

8 აპრილი.

პეტერბურგი. ბიბლიოგრაფიულ, რუსულ ბეჭდვითის საქმის, სალიტერატურო საზოგადოებათა და მწერალთა და მეცნიერთა საურთიერთო დახმარების კასსის მიერ მოწვეულ პერიოდულ პრესსის წარმომადგენელთა კრებაზედ არჩეულ იქმნა კომიტეტი რუსულის პრესის 200 წლის იუბილეს გადასახდელად პეტერბურგში. კომიტეტის წევრები არიან: სტასულევიჩი, სლუჩევსკი, ნოტოვიჩი, მიხაილოვსკი, სუვორინი, შუმინსკი, გრუზდევი, ლეიკინი, პოპოვიცკი, უხტომსკი, კოროლენკო, ფედოროვი, სირომიატნიკოვი და დუბროვინი; მათი კანდიდატები: ფამინცინი, ვეინბერგი, კომახოვი და ხუდეკოვი.

ჰანნოვერი. ბანკეტზე, რომელიც გამართული იყო კავალერიის გენერლის როზენბერგის ძეგლის აგებისა გამო, იმპერატორმა ვილჰელმმა უპასუხა ვალდერზეს და წინადადება მისცა რა გერმანიის ყველა კუთხის კავალერიის წარმომადგენელთ, როზენბერგივით მარტო სამსახურის მოვალეობაზე იფიქრეთო, სთქვა: „თუ თვალს გადავავლებთ როზენბერგის ცხოვრებას, შეგვიძლიან დავუწეროთ მას ის შესანიშნავი სიტყვები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს ჩვენის მომავალისათვის, სახელდობრ: „შეგნებული მიზანი და გამოფხიზლებული ძალები“. ბრანდენბურგის გრანიტის კლდეს ამშვენიერებს რკინის სახე გენერლისა. იზრუნეთ ჩვენის არმიის გრანიტზე, რომელსაც წარმოადგენს კავალერია და ეცადეთ, ისე გამაგრდეს იგი, რომ ვინც-კი უკბინოს მას, კბილები ჩაატყდეს.

მოსკოვი. დღეს შესდგა მესამე კრება რუსულის მწერლობის მოყვარეთა გოგოლის და ჟუკოვსკის სახელის პატივსაცემად.

მოხუცებულ არტისტთა დამხმარე საზოგადოებამ მიიღო ავერიანოვის ქალისაგან 40 ათ. მან. ღირებული სახლი ბაკშეევის სახელზე თავ-შესაფარის გასამართავად.

ბერლინი. ცენტრალურ საქალაქო ადმინისტრაციის და გერმანელ და უცხოელ ექიმთა და მეცნიერთა წარმომადგენლების თანადასწრებით გადახდილ იქმნა პროფესორის ლეიდენის 75 წ. იუბილე. დოქტორმა იაკობმა განაცხადა, რომ ოდესის უნივერსიტეტმა აირჩია ლე-დენი საპატიო წევრად. საპატიო წევრად აირჩია ლე-დენი რუსეთის 8 სხვა-და-სხვა საზოგადოებამ. ილაპარაკეს უცხო ერთა წარმომადგენლებმა, სხვათა შორის ფინლანდიის ექიმთა და იაპონიის ექიმთა წარმომადგენლებმა.

პეტერბურგის ბირჟა, 5 აპრილი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,95
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,72½
ბირჟის დისკონტი	4½—6½
4% სახელმწიფო რენტა	96⅝ გაყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466 467 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	356½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	302 გაყიდ.
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	94¾
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	94¾ „
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89½ „
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	10850
,, კასპიის ამხანაგობისა.	4900 „
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	454 „
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	198 „ —

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოელისა
ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საყმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილის	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილის.	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოელისა.	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძის	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 5
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის	,, 30
აბო ტფილელი, ე. კ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,, 5
ამბავი მელის ქვის	,, 5
აკიდო საყმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	,, 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. ,, 50
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	,, 40
ბენია	,, 10
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელის	,, 15
ბაში-აჩუკი, აკაკის.	,, 30
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის 1 მ.	,, 30
გლეხი-კაცის ისტორია, III - IV ტ. 1 მ.	,, 20
აღმზრდელი, აკაკის	,, 5
გასართობი	,, 10
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—ს	,, 15
გუსტავ ვაზა	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
Древный Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის	,, 30
ხანგი, ვ. აბაშიძის	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელის	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის	1 ,,
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენის	,, 8
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 ,, მ.
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	,, 20
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	,, 10
Давидъ Гареджели, Е. К.	,, 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძის	,, 15
ელეგე, მოთხრობა	,, 5
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	,, 40
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	,, 20
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის	,, 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	,, 3
პატარა ლორდის თავგადასავალი	,, 30
პატარა ვეფხვის ტყაოსანი.	,, 25
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილის	,, 40
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონის და გრ. ყიფშიძის	,, 1
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანის.	,, 60
ერის დღესასწაული	,, 25
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ლის.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	,, 30
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერების, კელენჯერიძის	,, 40
თამარ-დედოფლის სამკაული	,, 10
თამარ ლაზნელი, ან. ფურცელაძის	,, 50
ისტორია ქართულ სტამბების	,, 15
[illegible], ნახუცრიშვილის.	,, 40
კონსპექტი საქართველოს ისტორიიდგან I—II ნაწ. ქუთათელაძის	,, 60
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-ს	,, 30
საყმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილის.	,, 50
სუმბული, ს. ქვარიანის.	,, 20
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანის	,, 50
[illegible], მ. ჯანაშვილის	,, 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელის	,, 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილის	,, 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილის	,, 40
ქეთო და სოსო, საყმაწვილო მოთხრობა	,, 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ის	,, 25
კოპერნიკიდგან დარვინამდე	,, 10
კანდელი, მ. ლოლაშვილის	,, 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	30 ,,
კუბიკები ქართულის ანბანის	1 მ. 20
ლექსები განდეგილის	,, 50
ევლოშვილის	,, 50
რ. აბაშიძის	,, 60
დ. გაბრუაშვილის	,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილის	,, 40
მუშათა კითხვა	15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყანჩოშვილის	1 ,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელის.	,, 40
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლის	,, 10
ნათელა, აკაკის	,, 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა	,, 20
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი	,, 40
Новая постановка педагогическаго дѣла	,, 20
სამი პოემა, ან. ფურცელაძის.	,, 50

ამხ. „ვერეიჩევი და კამენმახერი“

ღირს-ქმნილი თვისის სტამბის საქმეთათვის ბათუმში 1901 წლის კავკასიის საიუბილეო გამოფენის მედლისა

და გაზეთ „Тифл. Лист.“-ის ფრიად სასიამოვნო მოწონებისა (№ 277, 1901 წ.) აუწყებს ყველას, რომ მიხეილისა და ნემცების ქუჩის კუთხეში, სლივიცკის სახლში გაჰმართა

სტამბა და სახაზავი,

რომელნიც მოწყობილია ტეხნიკის ყოველ მოთხოვნილებისა თანხმად და ამიტომ შეეძლება ყოველ-გვარი სასტამბო და სახაზავი სამუშაო შეასრულოს ყოველ ევროპიულსა და აქაურს ენაზედ

☛ კოხტად, სწრაფად და იაფად ☚

23 მარტიდგან სტამბის კანტორა ღიაა ყოველ-დღე. სტამბაზედ მოშორებით მცხოვრებნი მუშტარნი არ შესწუხდნენ სტამბაში მოსვლით, „ვერეიჩევისა და კამენმახერის“ ამხანაგობას მრავლად ჰყავს მოსამსახურე ხალხი, რომელნიც სურვილისამებრ ეახლებიან და მიიღებენ მუშტართაგან საქმეებს. ტელეფონი № 852. (25—309—5)

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში

სამეურნეო სასწავლებელი

ბაღოსნობისა, მევენახეობისა, მებოსტნობისა და მეფუტკრობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება **რვა თვეში** (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსულის წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგად გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა **რვა თუმანია**. ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ № 20 (10—301—9.)

Дозволено цензурою. Тифлисъ 8 апр. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.